სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

შპს „333“-ის (ს/კ: 406035936)

წარმომადგენლის: დეა ბერიას (პ/ნ: 62001041290)

მის.: ქ. თბილისი, კოსტა ხეთაგუროვის 6, ბინა 37

ტელ.: +995 591 19 18 20

ელ-ფოსტა: dea_beria@outlook.com

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/12/2019 წლის შუალედური გადაწყვეტილება № 4777512-ით მოგვეთხოვა შემდეგი სახის ხარვეზის გასწორება:

ვინაიდან შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და ფართი, საჭიროა პირველ რიგში მიმართოთ ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს და აღნიშნული ცვლილება აისახოს მერის განკარგულებაში.

2019 წლის 9 დეკემერს 10:55 წუთზე მივმართეთ ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს განცხადებით: 0119343194-67, აღნიშნული ცვლილების მერის განკარგულებაში ასახვის მოთხოვნით. განაცხადზე პასუხის გაცემის ოფიციალური ვადა განისაზღვრა 2020 წლის 24 იანვრით, თუმცა სამსახურმა შესაძლოა დააგვიანოს პასუხის გაცემა, ან გააგრძელოს განაცხადის განხილვის ვადა 3 თვემდე პერიოდით.

ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/12/2019 წლის შუალედური გადაწყვეტილება № 4777512-ით მოგვეთხოვა შემდეგი სახის ხარვეზის გასწორება:

3.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: ვინაიდან მშენებლობა ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით, წარმოადგინეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებით და შესაბამისი სანქციის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

2019 წლის 13 დეკემბერს წერილით ნომერი: 10/01193472228-17 მივმართეთ მუნიციპალურ ინსპექციას, რათა მოხდეს არქიტექტურის სამსახურის მიერ მოთხოვნილი დადგენილების გამოცემა და სანქციების დაკისრების შემთხვევაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის

წარმოდგენა ჩვენს მიერ. აღნიშნული განცხადების განხილვის ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 29 იანვრის ჩათვლით პერიოდი, თუმცა სამსახურმა შესაძლოა დააგვიანოს პასუხის გაცემა, ან გააგრძელოს განაცხადის განხილვის ვადა 3 თვემდე პერიოდით.

ვინაიდან, AR1713168 განაცხადის განხილვისთვის და ხარვეზების გამოსწორებისთვის საჭიროა მერიის სხვა სამსახურების ჩართვა და მათი პოზიციების გათვალისწინება და დადგენილებების წარმოდგენა, საქმის ვითარებიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაგვიხარვეზოთ AR1713168 განაცხადი და ხარვეზის გამოსწორების ვადად მოგვცეთ მაქსიმალური შესაძლო პერიოდი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საქმის ვითარებიდან გამომდინარე საჭიროა მოცემულ ვადაზე უფრო დიდი პერიოდი სრულყოფილი დოკუმენტაციის მოსაწოდებლად.

პატივისცემით,

დეა ბერია

ხელმოწერა:

თარიღი: 15.01.2020